

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-ით და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლით (რომელშიდაც შევიდა ცვლილება, დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 26 მარტს, ოქმი №2) და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ 1-ლი მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტებით.

3. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად:

1. ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო, პროფილი – ბიზნესის პრობლემათა კვლევა).

**კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:**

მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (უვადო) დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში: მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის, არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში.

**კონკურსანტს ასევე მოეთხოვება (ვაკანსიის პროფილის მიხედვით):**

ა) ზემოთ მოტანილ 4 რეიტინგულ პუბლიკაციას შორის 2 საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, ასევე საზღვარგარეთ გამოცემული არანაკლებ 10 ნაშრომი.

4. კონკურსი გამოცხადდეს 2021 წლის 15 აპრილს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 26 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ (ცალკე უნდა გამოიყოს მთავარი (უვადო) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი ნაშრომების სია), შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);

ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) განყოფილების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, სადაც მოცემული იქნება თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე განყოფილების/ლაბორატორიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

5. კონკურსი გამოცხადდეს 2021 წლის 15 აპრილიდან. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოოს 2021 წლის 26 აპრილიდან 2021 წლის 27 აპრილის ჩათვლით, ინსტიტუტის კანცელარიაში, 13<sup>00</sup> საათიდან 15<sup>00</sup> საათამდე (თბილისი, გ. ქიქოძის ქ. №14, ოთახი №10. ტელ. 555291639).

6. სამეცნიერო ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (უვადო).

7. განცხადება გამოქვეყნდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი  
ერთეულის – პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო